

თბილისის განთიადი

აქ ყველა ბიჭი საზანდრობს,
ყველა ჰკვებს წინაპართა;
გულამოჭრილი საზამთრო
შემოგანათებს პარვითა.

ელავს აივნის ნოხები,
ტაბაკზედ – ალიბუხარი
და ბურში ორთქლავს ხოხობი
აქ ჩახარშული მდულარით.

ამტყდარა მღერა ბალიდან,
აკლდამებიდან გუგუნი,
მთაწმინდის ცეცხლით გალიმდა
გარემო გადაბუგული.

კაშკაშებს სხივთა ბარაქით
მტკვარი ნაპრალში გდებული;
დგას ხეტეველთა ქალაქი –
ზურგზედ კლდე მოკიდებული...

გამოველ.
მსურდა ყვავილი
ლამაზ ქალისთვის მეყიდნა,
დაჭრილ ხევსურის თავივით
მთვარე მთებს გადმოეყვინთა.

ქაშუეთს ფერი დაჰკრავდა,
ვარსკვლავის სხივზე თბებოდა,
ცილა, დაღვრილი ვარსკვლავთა,
ქაშუეთს ეწებებოდა.

ბაღით სურნელი მოვარდა,
სადაც რეჰანი ეთესა,
მე გავიგონე, მოჰვარდა
ქვა ნარიყალის კედელსა.

მესმოდა ბავშვთა ჟივილი,
თემური კალოს ლეწავდა,
იტეხებოდა ტკივილით

ძვალი, ქცეული ლერწადა.

შორს ცხენჭენებით დაჰქროდნენ
ყაბახის მოზურთალები:
მათ საყურებლად დაგროვდნენ
ცისფერთვალება ქალები. .

მე გავიგონე დაირა,
ხმა ხაზარდიან ტაშისა,
იადონს გაეშაირა
მღერალი ყიზილბაშისა.

მე გავიგონე, მთვარეში,
როგორ ყიოდა მეტივე:
– თბილისისაკენ დავეშვი,
ველარ კი შემოვეტივე!

ხმები მესმოდა, არავის
რაც აღარ ეყურებოდა,
აჩრდილთა ხროვა მზარავი
ყორეზე დაეყრებოდა.

ვიჭერდი უანკესოდა,
მთვარის ნამქრალი ზოლითა,
და ძველი მიწა კვნესოდა:
სისხლით, ცრემლით და ბოლითა,

ბინდი კი ბინდზე ირთხმოდა,
წყვდიადი ყორნის ჯიშისა,
მამლების ტაში ითხოვდა
მზეს – ქვეყნის სარაჯიშვილსა,

გავხედე, ცის ერთ კუნჭულთან
რძე მოჟონავდა ძუძუდან;
დაჩნდა სინათლე ლალივით,
კალმახის წითელ ხალივით...

როცა ცისკარმა მეტეხზე
ღამის ღვარები მილამა,
წყალში გამოჩნდა მეთევზე,
ბრწყინვა დაიწყო დილამა.

ჩანდა ნაკვალი ვარსკვლავთა

და ნაოთხალი მთვარისა,
და თავს ქაშუეთს აკლავდა
ხმა მომტირალი თარისა.

მაგრამ, ეძინა გრიგოლსა
და ვარდსაც წინანდალისა,
და იმ გულს აღარ ესმოდა,
ვინც ეს ხმა წინათ ალესა.

არც მტკვარს ესმოდა, არც ყაბახს,
აივნებს ჩუქურთმიანთა,
შეეფრქვა ტივებს და თაბახს
და ისევ კუბოს მიადგა.

ხმა ქცეულიყო ჩონჩხადა,
საფლავის ნამტვერადა,
მხოლოდ მეთარეს კრუნჩხავდა
ძველ სიყვარულის ბალადა.

მხოლოდ უსმენდნენ შაშვები,
კარები არსად გაიღო --
დამტაშებელი ტაშები
საფლავში გამომჰალიყო...

გადმოვიხედე თბილისზე,
თითქოს აენტოთ ხონჩები,
შემოჰხვეოდა დილის მზე
ყვითელი ოქროს ფოჩებით.

აღარ ახსოვდა ტოლები,
ნინეცია და ბაღდადი,
არც მტრის დარტყმული ტორები,
სისხლის ცრემლების ღაღადი.

არც ის, ვინც გული ატკინა, -
მოძალე სამარყანელი;
დიოდა მტკვარი ხმატკბილად,
ბაღმა ჰყვავდა ყანები.

თბილისს ეღვიძა ქორივით,
გული კლდით ჰქონდა გებული,

მოსჭექდა ხალხის მორევი
შრომისთვის გარიგებული.

ხმა ვაჟკაციური, მედგრული,
გუგუნით ყალბზე დგებოდა:
ხმა ერთი ძალით შეკრული
ეხოებს ეხეთქებოდა.

ჩემი ლამაზი ქვეყანა
ამ დიდ ხმებს გადაეყვანა!
წარსულის ნამსხვრევ-ნალექი
თბილისის მთებზე ეყარა.

ძირს ლომკაცები სცვეთავდნენ
ლოდებს, რომ აჩნდათ ჭრილობა, -
თბილისს გაჰქონდა მცხეთამდე
თავისი მხარგამლილობა!